პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 7 მაისი № 107 (16847) ფასი 2 კაპ. 1977

7 მაისი რადიოს დღეა

მოგილოცავთ. კვირფასო მეგობრებო!

საქართველოს რესპუბლიკური პროფსაბჭოს პლენუმი

6 თებერვალს პროფკავშირთა კულტურის სახახლეში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მორიგი პლენუმი.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, თ. ი. მოსაშვილი, ხ. ე. ჭაბაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაპორია, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა.

დღის წესრიგშია საკითხი რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ამ ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დებულებებიდან და დასკვნებიდან.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. ე. შარტავა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა მ. ბ. სვანიშვილი, აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. ციერშუბაძე, რუსთავის ქიმიური ქარხნის მეპატარატე ვ. ნ. რუდი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. ვ. წერეთელი, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. ბაზაევი, საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ა. მარგველაშვილი, ბახრამაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი ბ. ა. ჭადიეშვილი, დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. ლომიძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ვ. ბამცელიძე.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა.

შემდეგ გამოვიდნენ: ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის მუშა რ. ა. კუპრაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. შ. ციციშვილი, სოფლის მეურნეობისა და დამუშავების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. კაპაძე, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ე. ნ. გუგუშვილი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო. შემდეგ მტკიცდება საქართველოს პროფსაბჭოს ძირითად ღონისძიებათა გეგმა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო უბნის ოსტატის როლის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა, იზრდება ოსტატის როგორც შრომითი პროცესის ორგანიზატორისა და მუშათა აღმზრდელის როლი.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ოსტატთა კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა, ამაღლდა მათი ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და კულტურული დონე. სამრეწველო საწარმოთა ოსტატების 70 პროცენტზე მეტს აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება. მათ შორის უმრავლესობამ კარგად იცის თავისი საქმე, უნარიანად უწევს ორგანიზაციას წარმოებას და დიდ მუშაობას ეწევა, რათა მუშებს ჩაუნერგოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ზრუნავს მათი კულტურულ- ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. ოსტატთა აქტიური მონაწილეობით ხორციელდება წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომის ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარების მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

საწარმოო უბნის ოსტატის როლის შემდგომი ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სამინისტროებსა და უწყებებს, გაერთიანებებს, სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს ხელმძღვანელებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სისტემატური მუშაობა გასწიონ, რათა ოსტატებს საჭირო პირობები შეუქმნან, რომ საწარმოო უბნებმა წარმატებით შეასრულონ გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, დაამზადონ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, ეფექტიანად გამოიყენონ მოწყობილობა, სამუშაო დრო, მომჭირნედ ხარჯონ ნედლეული, მასალები და სათბობი, ყოველნაირად განვითარონ მუშათა ინიციატივა და შრომითი აქტივობა.

გაერთიანებების, სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლობების ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ:

უფრო ფართოდ ჩაბაბან ოსტატები წარმოების მართვაში, რეგულარულად განიხილონ მათთან ერთად საწარმოს და ორგანიზაციის ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების მომდინარე და პერსპექტიული საკითხები, მიიღონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საწარმოო უბნების ინტერესებს; ჩაბაბან ოსტატები მათს განხილვაში;

ყოველნაირად დაეხმარონ ოსტატებს საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. სოციალისტური შეჯიბრებისა და დამრიგებლობის მოძრაობის განვითარებისათვის, მუშებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვისათვის მუშაობაში, რეგულარულად გამართონ კრებები და თათბირები ოსტატთა. საწარმოო და აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის;

აამაღლონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ფუნქციები განყოფილებებისა და სამსახურების პასუხისმგებლობა, რათა საწარმოო უბნები უზრუნველყონ ყოველივე იმით, რაც საჭიროა დადგენილი საწარმოო დავალების შესასრულებლად, არ დატვირთონ ოსტატები მათთვის შეუფერებელი სამუშაოთი;

გაიუმჯობესონ ოსტატთა კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა; დაიწინაურონ ამ თანამდებობებზე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი და საწარმოო გამოცდილება, აგრეთვე საშუალო სპეციალური ან საერთო საშუალო განათლების მქონე მოწინავე მაღალკვალიფიციური მუშები; აამაღლონ ოსტატთა პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონე. ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათი შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას; უფრო ფართოდ დანერგონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისეთი ოსტატების დაწინაურება, რომელმაც კარგი სახელი დაიხვეჭეს სამეშაოზე.

გაერთიანებების, სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ოსტატთა კვალიფიკაციური კადრების რეზერვის შექმნის მიზნით, უფლება ენიჭებათ შემოიღონ ოსტატის თანაშემწის თანამდებობა. და როგორც წესი, ამ თანამდებობაზე დანიშნონ ახალგაზრდა სპეციალისტები — უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი.

სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ:

შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალურ და რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად განაზოგადონ საწარმოო უბნებზე სამეურნეო ანგარიშის მოწინავე გამოცდილება და დარგის თავისებურებების გათვალისწინებით შეიმუშაონ და 1977 წელს დაამტკიცონ სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციის გაუმჯობესების რეკომენდაციები საგეგმო დავალებების წარმატებით შესრულების, დაზოგვის რეჟიმის გაღრმავებისა და უბნებზე წარმოების რენტაბელობის ამაღლების მიზნით;

განახორციელონ ღონისძიებები, რათა გაუმჯობესდეს ოსტატთა სამუშაო ადგილების კვლევა-გამზადებლობის, სიგნალიზაციისა და ორგანიზაციული ტექნიკის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით;

შეისწავლონ და განაზოგადონ ოსტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკა, შეიმუშაონ და შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალურ და რესპუბლიკურ კომიტეტებთან შეთანხმებით დაამტკიცონ დებულებები საწარმოებსა და ორგანიზაციებში ოსტატთა საბჭოების შესახებ, ამასთან გათვალისწინონ დარგების თავისებურებები;

რეგულარულად გამართონ მოწინავე გაერთიანებებში, საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში ოსტატთა სემინარები იმ საწარმოთა უბნების მუშაობის გამოცდილების შესასწავლად, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საწარმოო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ტექნიკური სპეციალობებით სპეციალისტთა მომზადებისას უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებმა და მოსწავლეებმა უფრო ღრმად შეისწავლონ წარმოების მართვისა და ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდები და დაეუფლონ პრაქტიკულ ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ოსტატის მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის. იმ პრაქტიკოსი ოსტატებისათვის, რომლებსაც აქვთ საერთო საშუალო განათლება, შექმნან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში განყოფილებები, სადაც მოკლე ვადაში გაივლიან სწავლების კურსს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

საჭიროდ ცნეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებში, მათს ფილიალებში, აგრეთვე სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მოიწყოს ოსტატთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება (სულ ცოტა 3-5 წელიწადში ერთხელ, წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ).

დადგენილებით საწარმოო უბნების ოსტატებს უფლება ეძლევათ უბნის ხელფასის საგეგმო ფონდის დაახლოებით 2 პროცენტის ოდენობით ოსტატის განკარგულებაში ყოველთვიურად გამოყოფილი საპრემიო ფონდის სახსრებიდან პროფკავშირგუფორგებთან შეთანხმებით პრემია მისცეს მუშებს საუკეთესო ხარისხობრივი და რაოდენობრივი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის, სანიმუშო მუშაობისა და დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

საწარმოო უბნების უფროსი ოსტატებისათვის, ოსტატებისა და ოსტატების თანაშემწეებისათვის დაწესებულია შრომის დამატებითი ანაზღაურება ღამით მუშაობისათვის ამ უბნების მუშებისათვის დადგენილი ოდენობით.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებით, უბანზე აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებით, თავისი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებით ოსტატთა დაინტერესება, გაერთიანებების, სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ შესაბამის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით ოსტატებს მიანიჭონ „1 კლასის ოსტატის“, „2 კლასის ოსტატის“ წოდება, ამასთან მისცენ ხელფასის დანამატი შემდეგი ოდენობით: 1 კლასის ოსტატს — თანამდებობრივი სარგოს 20-30 პროცენტი და 2 კლასის ოსტატს — 10-15 პროცენტი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ ოსტატთა როლისა და ავტორიტეტის შემდგომ ამაღლებას, ყოველნაირად დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ, რათა შეასრულონ საწარმოო უბნების შრომითი კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობაში დაკისრებული ამოცანები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ოსტატებს მოუწოდეს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

ჟურნალ „პროგლემი მირა ი სოციალიზმის“ მუშაობის განხილვისათვის კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ინგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობდა ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმის“ მუშაობის განხილვისათვის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირში. ეს თათბირი გაიმართა პრაღაში 1იმდინარე წლის 27-29 აპრილს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა მისი საქმიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმის“ გამოცემა ემსახურება ყველა კომუნისტისათვის საერთო მიზნის — მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეს. საბჭოთა კავშირში ჟურნალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც კომუნისტური მოძრაობის საქმიანობის შესახებ, კომუნისტების, ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის ინფორმაციის საშუალება, ხელს უწყობს მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პრაღის თათბირმა ხელი შეუწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების გამოცდილებისა და აზრთა გაზიარებას და ჩაიარა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ყველა მოძმე პარტიის შეკავშირების განმტკიცების ინტერესებისათვის თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობის, სხვის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, კომუნისტთა ინტერნაციონალისტური სოლიდარობის თანამიმდევრული განვითარების პირობებში.

ტკბილცა მუშიდლობის მუშაკებელთა მსოფლიო ასამბლეის მონაწილეებს

გულითადად მოვესალმები მტკიცე მშვიდობის მშენებელთა მსოფლიო ასამბლეის მონაწილეებს, რომლებიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ვარშავაში შეიკრიბნენ.

ისეთი წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული შეხვედრის მოწვევა, როგორიც თქვენია, მოწმობს მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის ფართო ფენების მზარდ მისწრაფებას გააძლიერონ ბრძოლა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ოვით ამ ასამბლეის სახელწოდება, ეფიქრობ, კარგად გამოხატავს მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მოძრაობის აღმშენებლობითს მიმართულებასა და შემოქმედების როლს. ახლა ვერავინ ვერ დარჩება მშვიდობისა და პროგრესის ძალებსა და რეაქციის ძალებს წინააღმდეგობის გარეშე მეთვალყურედ.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული. მთავარი ის არის, რომ მოხერხდა მსოფლიო ომის საფრთხის შეჩერება, კონფრონტაციის შესუსტება და სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განმტკიცება.

დღეს საჭიროა განვამტკიცოთ მიღწეული და განუხრელად ვიაროთ წინ, შეიქმნათ ისეთი მატერიალური, პოლიტიკური და მორალური პირობები, რომლებშიც შეუძლებელი იქნება მოკლენების უკუღმა დატრიალება.

ეს კი, უწინარეს ყოვლისა ნიშნავს მიღწეული საშიში გამაღლებული შეიარაღების შეკავებასა და შეწყვეტას. ამიტომაც უნდა ავიმაღლოთ სიფხიზლე იმპერიალიზმის ხრიკებისადმი, ვამხილოთ პროვაგანდისტული კამპანიები ხალხთა მოტყუების ცდები, რომლებიც მიზნად ისახავენ იმას, რომ ხელი დაიფარონ გამალებული შეიარაღების ნამდვილ დანაშაულებს.

მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული ფრონტების ერების ალმოფხვრას, რასიზმისა და ანარქიიდის სამარცხვინო პრაქტიკის ლიკვიდაციას, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მოკავშირეს, კლონიალური ზოგადსაკაცობრიო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის ხელშეწყობას.

ძვირფასო მეგობრებო! ამ კეთილშობილური მიზნებისათვის ბრძოლაში, რომლებიც, როგორც ვიცით, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის საერთაშორისო მიზნებია, ოდესმ შეგიძლიათ იქონიოთ ჩვენი ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მუდმივი მხარდაჭერისა და დახმარების იმედი. საბჭოთა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირმშო — უკვე 60 წელია განუხრელად მიდის ისტორიული ლენინური ზავის დეკრეტით გაკაფულ-ფენებული გზით. ამ გზით კვლავაც ვიარეთ ამათთან ერთად, ვინც მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს დაძაბულობის შენელების, განიარაღების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის საქმეში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, ვარშავის ასამბლეის ყველა მონაწილეს ვუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას და წარმატებებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ნათელი იდეალებისათვის ბრძოლაში.

ლ. ბრეჟნევი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ვ. კოლბინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდამეათე წლისთავის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ბენდი ვასილის ძე კოლბინი დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1977 წ. 6 მაისი.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა მენგისტუ ჰაილე მარიამს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** 6 მაისს მიიღო სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **მენგისტუ ჰაილე მარიამი,** რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა.

საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი **დ. ფ. უსტინოვი;** ეთიოპიის მხრივ — დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი **ბერჰანუ ბაიე,** დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი **ადის ტედლა,** დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი **ლეგესე ასფაუ,** დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი **მენგისტუ გემეჩუ.** საუბარს დაესწრო აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი **ე. მ. სამოტეიკინი.**

მენგისტუ ჰ. მარიამი საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით გულთბილად მიესალმა და დიდი მადლობა გადაუხადა ეთიოპელი ხალხის სახელით უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს ეთიოპიას, მის ხალხს ახალი ცხოვრების აშენებისათვის ძნელ ბრძოლასა და რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას და შეიესაბამება მსოფლიოს მიერილი პროგრესული ძალების ინტერესებს.

მენგისტუ ჰ. მარიამმა ილაპარაკა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს საქმიანობაზე, რომელიც დაადგა იმ კურსს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის პროგრამის შესაბამისად განახორციელოს ანტიფეოდალური, ანტიკაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, შექმნის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოების მშენებლობის საჭირო პირობები. გადაწყვეტეს ეთიოპიის ეროვნული საკითხი დემოკრატიულ საფუძველზე ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფო ფორმულებში.

ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადად მიულოცა ეთიოპიის ხელმძღვანელობასა და ხალხს წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეს ძველი, ისტორიულად დრომოჭმული წყობილების გარდაქმნის, დამოუკიდებლობის განმტკიცების, ახალი საზოგადოების ასაშენებლად საჭირო წანამძღვრების შექმნის საქმეში. მან ეთიოპელ ხალხს ულხრავი შემდგომი წარმატებანი მის მიერ არჩეულ გზაზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებაზე, რომელიც შეძენილია საბჭოთა სახელმწიფომ მისი არსებობის 60 წლის მანძილზე, სიძნელეებზე, რომლებიც დაძლია საბჭოთა ხალხმა ამ გზაზე. ამასთან ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და მართველობითი ძალის, როლსა და მნიშვნელობას სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ამოცანის გადაწყვეტაში.

საერთაშორისო ვითარების საკითხებზე ანბოთა გაზიარების დროს **ლ. ი. ბრეჟნევმა** და **მენგისტუ ჰ. მარიამმა** აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირსა და ეთიოპიას საერთო შეხედულებანი აქვთ საერთაშორისო ურთიერთობის საკვანძო საკითხებზე. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ქმნის ხელშეწყობას პირობებს, რათა დამკვიდრდეს ყველა ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და მათს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის უფლება.

მხარეებმა აგრეთვე დაადასტურეს, რომ ორივე სახელმწიფო ისწრაფვის განავითარონ და გაღრმავონ საბჭოთა კავშირისა და ეთიოპიის, ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა.

შეხვედრამ ალუთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საგდელი).

მოსკოვი. 6 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური ეთიოპიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი **მენგისტუ ჰაილე მარიამი,** რომელიც ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. **ხუთაუნზ:** საუბრის დაწყების წინ.

საკადრო-საქინფორმი ტელეფოტო.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲓᲘᲐᲓ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ

დავალება — ყოველდღიურად

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დედაქალაქის №2 ავტოშემკეთებელი ქარხნის (დირექტორი მ. ბერიძე) კოლექტივმა ფართოდ დაიჭირა მხარი ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის მშრომელთა ინიციატივას და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

თებერვალ-აპრილი საწარმომ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა, რეალიზაციის გეგმას 9,7 პროცენტით გადააჭარბა და 339 ათასი მანეთის ნაცვლად 372 ათასი მანეთის პროდუქცია გაასაღა, 36 ათასი მანეთით გადააჭარბა მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმას, შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 10,5 პროცენტით.

საიუბილეო წლის შრომითს ეახტზე დაწინაურდნენ ამწყობ ზეინკლათა ის ბრიგადები, რომლებსაც გ. მელაძე და ა. ითაბეგოვი ხელმძღვანელობენ.

ფართოვდება თუთის პლანტაციები

ჩვენს რესპუბლიკაში წლის დამდეგიდან 120 ჰექტარით გაფართოვდა თუთის პლანტაციები. ნორჩი ხეები აშენდა ზუგდიდის, ცხინვალის, თერჯოლის, ნალენკიხის რაიონებში.

სულ უფრო მეტი მეურნეობები რგავენ უხმოსავლიან თუთის ხეებსა და ადგილობრივი სელექციის ჰიბრიდულ ჯიშებს, რომლებიც ერთიორად მეტ მწვანე ფოთოლს იძლევიან, ვიდრე ჩვეულებრივი თუთის ხეები. ასეთი სოფლისაკენ ბლანტიანის თვითეული ჰექტარზი საშუალოდ 100 ცენტნერზე მეტი ფოთოლი მოდის. ახალი ჰიბრიდები ჩვეულებრივზე ადრე შემოდის, რაც აბრეშუმის ჭიის გამოკვების ბევრად ადრე დაწყების საშუალებას იძლევა.

(საქინფორმი).

მიფრინავს „კოსმოს-907“

1977 წლის 5 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-907“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საგდელი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი

ივანე ბესარიონის ძე

კაბარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება

5 მაისს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი;

ეთიოპიის მხრივ — სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი მენგისტუ ჰაილე მარიამი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრები ბერჰანუ ბაიე, ადის ტედლა, ლეგესე ასფაუ, მენგისტუ გემეჩუ.

დამთავრდა აზრთა გაზიარება ფართო წრის საკითხებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობასა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება მოლაპარაკების დროს მიღწეული შედეგების გამო და დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება განვითარონ და განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მეგობრობა და თანამშრომლობა.

საერთაშორისო მდგომარეობის განხილვისას მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების პრობლემებს, საკითხებს, რომლებიც ეხება მშვიდობისა და პროგრესის ძალების კონსოლიდაციას საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ხალხთა იმ უფლების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, რომ თვითონ წყვეტდნენ საშინაო საქმეებს გარედან ჩაურევლად.

შეთანხმებულია საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ერთობლივი დოკუმენტები. მოლაპარაკებამ მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის დოკუმენტებს

6 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის დოკუმენტებს. დეკლარაციას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძვლების შესახებ ხელი მოაწერეს: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელით — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ, სოციალისტური ეთიოპიის სახელით, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ, სოციალისტური ეთიოპიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პოდპოლკოვნიკმა მენგისტუ ჰაილე მარიამმა. ხელი მოაწერეს აგრეთვე სსრ კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის, ოქმს, კულტურული და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებას, საკონსულო კონვენციას.

დოკუმენტის ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ, ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი და ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი; ეთიოპიის მხრივ — მენგისტუ ჰ. მარიამი, დელეგაციის წევრები.

დოკუმენტების ხელმოწერის წინ გაიმართა ნ. ვ. პოდგორნის, ა. ა. გრომიკოს, ნ. ა. ტიხონოვის საუბარი მენგისტუ ჰაილე მარიამთან. საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგების გამო.

საღამოს. სოციალისტური ეთიოპიის დელეგაცია მენგისტუ ჰაილე მარიამის მეთაურობით მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა.

სოციალისტური ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე მენგისტუ ჰ. მარიამი, დელეგაციის წევრები გაიცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საფრენ მოედანზე ჩამფრიალებული იყო ს

7 მაისი რადიოს დღეა

ოქტომბერი და რადიო

ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვების წინა დღეს, 1917 წლის 24 ოქტომბერს (ძველი სტილით), ლენინგრადელ კრეისერ „ავრორას“ რადიოსადგურმა ეთერში გადასცა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის საბრძოლო ბრძანება, რომელიც პეტროგრადის გარნიზონის შეიარაღებულ ძალებს ავალებდა მზად ყოფილიყვნენ საბრძოლველად და დაეცვათ პეტროგრადის მისადგომები დროებითი მთავრობის და მისი სამხედრო ნაწილების შეტევისაგან.

კრეისერ „ავრორას“ რადიოსადგურმა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დაუკავშირა რევოლუციის ხელმძღვანელობის შტაბს და ამცნო, რომ საბჭოთა ხელი გადავიდა. რადიოკავშირი ვ. ლენინმა გამოიყენა ომისათვის რომ გადაეცა მის მიერ დაწერილი ისტორიული მიმართვა რუსეთის მოქალაქეებისადმი. მასში ნათქვამი იყო, რომ დროებითი მთავრობა დამხობილია და სახელმწიფო ძალაუფლება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა.

პარტია და მთავრობა ფართოდ ყურებდნენ რადიოტელეგრაფს საინფორმაციო ცნობების გადასაცემად. ყველაზე ძლიერი — დიტსკოე სელოს რადიოსადგური 1917 წლის 12 ნოემბრიდან „ავრორას“, მისამარხოდან გადასცემდა ცნობებს შორ მანძილზე მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა რადიოს განვითარებას. მისი ინიციატივით მთავრობამ ბევრი დადმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო რადიოტექნიკის განვითარების შესახებ. საბჭოთა მთავრობის დეკრეტებში დასახული იყო რადიომშენებლობის ეფართო პროგრამა, რამაც განაპირობა სამამულო რადიოტექნიკის შემდგომი ზრდა.

1918 წლის ივლისში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „რადიოტექნიკური საქმის ცენტრალიზაციის შესახებ“, რომელიც საფუძველად დაედო სამამულო რადიომრეწველობის განვითარებას. ვ. ი. ლენინის ინიციატივით ტვერის მიმღები რადიოსადგურის ბაზაზე ნიჟნი-ნოვგოროდში (ახლანდელ გორკში) იმავე წლის დეკემბერში დაარსებულ რადიოლაბორატორიაში თავი მოიყარა მეცნიერებისა და ინჟინრების ჯგუფმა. მათ შორის იყვნენ მომავალში გამოჩენილი მეცნიერები მ. ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. ვოლოგდინი, ვ. ლებედინსკი, დ. როჟანსკი, პ. ოსტრიაკოვი, ა. შორინი და სხვ.

რადიოლაბორატორიის ტექნიკური ხელმძღვანელობა დაეკისრა ბონჩ-ბრუევიჩს. ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორია იყო რადიოტექნიკის აკვანი, პირველი საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის წინამე ბევრი რთული ამოცანა იყო დასახული. აქ უნდა მოეწყოთ ელექტრონული მილაკების მასობრივი წარმოება. ირომლისთვისაც ფაბრიკა კი არ შეიძლებოდა ახალი ელექტრომილაკიანი რადიოტექნიკის შექმნასა და განვითარებაზე, აგრეთვე შეიქმნათ სატელეფონო ტიპობრივი რადიოგადაცემები და მასობრივად დაემზადებინათ რადიომიმღებები.

ერთი წელიც არ იყო გასული, რომ რადიოლაბორატორიამ დაიწყო სამამულო მიმღები და საძლიერებელი ელექტრონული მილაკების სერიული გამოშვება (მანამდე ისინი შემოვაქონდა უცხოეთიდან). შემდგომ იქვე დაამზადეს გენერატორული ელექტრონული მილაკები რადიოგადაცემებისთვის. მათ საფუძველზე კი 1919 წლს ბოლოს — სატელეფონო რადიოგადაცემი, რომელმაც საცდელი მუშაობა დაიწყო.

პირველი სატელეფონო რადიოსადგურის წარმატებული საცდელი მუშაობის შემდეგ ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიას ეკისრებოდა რვა სატელეგრაფო რადიოსადგურის სატელეფონო რადიოსადგურად გადაკეთება და მათ შორის რადიოტელეფონური კავშირის დამყარება. რადიოტელეფონირების დარაზში, გარდა ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისა ენერგიულ მუშაობას ეწეოდა „მეორე რადიობაზის“ (ქ. ყაზანში) რადიოლაბორატორიის კოლექტივიც.

1922 წლის აგვისტოში დასრულდა ნიჟნი-ნოვგოროდის ლაბორატორიაში დამზადებული მოსკოვის სატელეფონო რადიოსადგურის დამონტაჟება და დაიწყო მისი საცდელი სამუშაობები. 1922 წლის 17 სექტემბერს მოსკოვის ცენტრალურმა სატელეფონო რადიოსადგურმა ეთერში გადასცა თავისი პირველი რადიოკონცერტი, რომელსაც მრავალი რადიოსადგური უსმენდა. გასაოცარებით რადიოკონცერტი 21 სექტემბერს გადასცეს. იგი მოისმინეს ნიჟნი-ნოვგოროდში რუსეთის ფიზიკოსთა III ყრილობის მონაწილეებმა, აგრეთვე ბათუმსა და იერუსალიმიანი. ეს პირველი სამაუწყებლო რადიოგადაცემა სამამულო რადიოტექნიკის ბრწყინვალე გამარჯვება იყო.

გადიოდა წლები, ხუთწლედებს ხუთწლედები მისდევდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა ქვეყანა. მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად უჩვეულო ტემპით ვითარდებოდა რადიოელექტრონიკა. მის საფუძველზე გაჩნდა მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი ახალი დარგი. რომელთაც დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობასა და თანამედროვე ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინი ოცნებობდა მრავალმილიონიან რადიომსმენელთა აუდიტორიაზე და დღეს ყველა მოწმეა იმისა, თუ როგორ განხორციელდა მისი დიადი აზრები.

ჩვენთან, საქართველოში, რადიომაუწყებლობას უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. რადიომაუწყებელი სადგურები რადიოგადაცემებს აწყობენ გრძელი, საშუალო, მოკლე და ულტრამოკლე ტალღებით. ბოლო დროს მეტად განვითარდა სამაუწყებლო რადიოგადაცემები მეტრული ტალღებით სიხშირეთა მოდულაციის გამოყენებით. მათ მიღებაზე თვითქმის არ მოქმედებს სხვა სიგრძის ტალღებისათვის ჩვეულებრივი ატმოსფერული და სხვა დაბრკოლებანი).

არაჩვეულებრივად პოპულარულია რადიომაუწყებლობის ყველაზე სრულყოფილი სახეობა — სატელევიზიო მაუწყებლობა. რუმელმაც საქართველოს ამ 20 წლის წინათ შემოაღწია.

დღეს საქართველოს აქვს მძლავრი თანამედროვე რადიომეურნეობა, აშენდა მრავალი სახეობის რადიოსადგური და რადიონაგებობანი. ჩვენს რესპუბლიკაში აღიზარდა ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერული კადრები, რომლებიც ნაყოფიერად განაგრძობენ პირველი თაობის რადიოსპეციალისტების მიერ დაწყებულ რადიომშენებლობის საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საბჭოთა კავშირში საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს არა მარტო რადიოკავშირის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, არამედ რადიოტექნიკის სხვა დარგებშიც.

დ. ხმიადაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე.

ქართული კულტურის ამაგდარი

ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ ჭელიძეს დაბადების სამოცი წელი შეესრულდა.

სრულიად ახალგაზრდა, ოცი წლის უცნობი ჯაბუკი ეზიარა იგი ლიტერატურულ მოღვაწეობას, ხოლო დღეს თავის სამოცწლოვან იუბილეს შეეგება, როგორც დამსახურებული მოღვაწე ეროვნული მწერლობისა, როგორც აქტიური მშენებელი ქართული საბჭოთა კულტურისა.

უკან დარჩა მამელიშვილური გზნებითა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით მოჭიდა ავტორმა ხელი ამ ჩინებულ საქმეს და რაოდენ საყურადღებო ნიმუში შექმნა მეცნიერებაზე დამკვიდრებული პატრიოტული ლიტერატურისა, რომელიც, ამავე დროს, დღევანდელობა თვალით გასცქერის ხალხის დიად წარსულს, ფართო პოლიტიკური თუ სოციალური ხედვით ამოორჩევს და ეკუმბარტი. ინტერნაციონალური სულისკვეთებით არის ,,აფდებული.

მწერლის წინაშე უძველესი დამოკოლებები და უამრავი აიძნელე ფდა. დიდი შორსმჭვრეტელობა, მასალაში ღრმად წვდომის უნარი, ფართო ერუდიცია და ისტორიოგრაფიული განსწავლულობა უნდა მოსდგამდეს, წარსული ცოცხლად აღქმის უნარი, მდიდარი ფანტაზია და მხატვრული ნიჭი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ უძველეს ამბავს, — მითოლოგიურ, რელიგიურ, ფანტასტიკურ, ესქატოლოგიურ, მესიანისტურ ელემენტებსა და იდეებთან გადახლართულ-გადაჯაჭვულ, გარეგნულად ხმირად არაბუნებრივსა და არაისტორიულს — ისტორიულად კანონზომიერი, ეშმაკრიტად რეალური საფუძველი მოუნახო, საზოგადოებრივი აზროვნების დღევანდელი დღიდან შეაფასო, მასში პროგრესული და რევოლუციური დაინახო და შენი ენით გადმოსცე. ეს რთულზე რთული ამოცანაა და მხოლოდ რჩეულთ ძალუძთ თავი გაართვან მის გადაწყვეტას.

ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების“ ძნელად საკითხავი, მხოლოდ გარკვეული წრისათვის ხელმისაწვდომი ტექსტი გასაგები და ადვილსამეცნიერელი გახდა საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის, მასიური მკითხველისა და, რაც ორე — 1976 წელს), ცხადყო თუ რა შთაგონებით, რა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით მოჭიდა ავტორმა ხელი ამ ჩინებულ საქმეს და რაოდენ საყურადღებო ნიმუში შექმნა მეცნიერებაზე დამკვიდრებული პატრიოტული ლიტერატურისა, რომელიც, ამავე დროს, დღევანდელობა თვალით გასცქერის ხალხის დიად წარსულს, ფართო პოლიტიკური თუ სოციალური ხედვით ამოორჩევს და ეკუმბარტი. ინტერნაციონალური სულისკვეთებით არის ,,აფდებული.

მწერლის წინაშე უძველესი დამოკოლებები და უამრავი აიძნელე ფდა. დიდი შორსმჭვრეტელობა, მასალაში ღრმად წვდომის უნარი, ფართო ერუდიცია და ისტორიოგრაფიული განსწავლულობა უნდა მოსდგამდეს, წარსული ცოცხლად აღქმის უნარი, მდიდარი ფანტაზია და მხატვრული ნიჭი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ უძველეს ამბავს, — მითოლოგიურ, რელიგიურ, ფანტასტიკურ, ესქატოლოგიურ, მესიანისტურ ელემენტებსა და იდეებთან გადახლართულ-გადაჯაჭვულ, გარეგნულად ხმირად არაბუნებრივსა და არაისტორიულს — ისტორიულად კანონზომიერი, ეშმაკრიტად რეალური საფუძველი მოუნახო, საზოგადოებრივი აზროვნების დღევანდელი დღიდან შეაფასო, მასში პროგრესული და რევოლუციური დაინახო და შენი ენით გადმოსცე. ეს რთულზე რთული ამოცანაა და მხოლოდ რჩეულთ ძალუძთ თავი გაართვან მის გადაწყვეტას.

ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების“ ძნელად საკითხავი, მხოლოდ გარკვეული წრისათვის ხელმისაწვდომი ტექსტი გასაგები და ადვილსამეცნიერელი გახდა საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის, მასიური მკითხველისა და, რაც

ვახტანგ ჭელიძის დაბადების მე-60 წლისთავის გამო

□

განსაკუთრებით სასიხარულოა, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ვახტანგ ჭელიძის ერთი უმთავრესი დამსახურება, მისი ღირსებათაგანი ის არის, რომ იგი საერთოდ შესანიშნავი ქართველი მთარგმნელია და კერძოდ, შექსპირის გამოჩენილი მთარგმნელია. ჩვენს დროში ვახტანგ ჭელიძემ წარმატებით განაგრძო ივანე მაჩაბლის გზა, საქმე, რომელიც სრულიად განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვს.

ვ. ჭელიძემ არა ერთი ათეული წლის ენერგია შესწირა ამ საქმეს და თარგმნა ისეთი განთქმული ნაწარმოებები, როგორიცაა: „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „მეფე ლირი“, „სიზმარი ზაფხულის ღამეს“, „ჰენრიხ IV“, „ვინძორელი ცელქი ქალები“ და ორიოდე სხვაც, რითაც ივ. მაჩაბლის შემდეგ ყველაზე დიდი ნაბიჯი გადადგა შექსპირის გადმოქართულებაში. მას მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ესი ღირდა ერთი კარგი მწერლური სიცოცხლის ფასად. მაგრამ ვ. ჭელიძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა მარტო შექსპირის გადმოქართულებთ როდი ამოიწურება; მან მაღალპროფესიული ოსტატობით, ნამდვილი შთაგონებითა და ზედმოწევნითი სიზუსტით თარგმნა ჯონ მილტონის, დანიელ დეფოს, ვალტერ სკოტის, ჩარლზ დიკენსის, ჯონ გოლსუოთთის, ჯეკ ლონდონის, რადიო კიპლინგის, მარკ ტვენის, ერნესტ ჰემინგუეის, ჯონ სელინჯერის და ზოგიერთ სხვათა თხზულებები. ყოველი ამ თარგმანთაგანი არის ნიმუში საქმისადმი ერთგული, პასუხისმგებლობით მიდგომისა. ვინ იცის, რამდენი დრო და ენერგია შეალია მან ამ დიდებული მწერლების ქართველთათვის გაცნობის საქმეს, რითაც დიდი კულტურული და ეროვნული მნიშვნელობის მისია შეასრულა.

ვ. ჭელიძის მთარგმნელობით მოღვაწეობაში საგანგებოთ აღსანიშნავია ის, რომ მან დიდი დამსახურება გაუწია ქართულ თეატრს რეპერტუარის გამრავალფეროვნებისა საქმეში. გარდა შექსპირის პიესებისა მან თარგმნა ფლეტჩერის, რომენ როლანის, ჯონ პრისტალის, ტენესი უილიამსის, არტურ მილერის, არტურ ლორენსის და სხვათა პიესები. ამიტომაც არის რომ მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სამპატიო სახელი.

ქართულ მწერლობას ვახტანგ ჭელიძის სახით ნიჭიერი პუბლიცისტიც ჰყავს. ინტერესთა მრავალფეროვნება, ყოველი საქმის ძირში ჩახედვის უნარი, უტყუარი ალღო, მაღალი გემოვნება და შრომისუნარიანობა შეესაძლებლობას აძლევენ მას, გამოეხმაუროს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ყოფის მრავალ საკრიბოროტო საკითხს: სწავლა-განათლების, სახალხო მეურნეობის, ლიტერატურული მუშაობის, ხელოვნებისა და მრავალ სხვა სფეროთაგან. მისი წერილები ყოველთვის ხალისთან და ინტერესით იკითხება, რადგან მწერალი მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერებით უდგება საქმეს და დამოუკიდებლად იმისა, იზიარებს თუ არა მკითხველი მის კონკრეტულ დებულებას, იგი უსათუოდ დაინტერესებულია ვ. ჭელიძის წერილთა პრობლემატიკით, მსჯელობათა ხასიათით, შინაგანი პათოსით.

„კომუნისტის“ ბიბლიოთეკა



ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტუდენტობა ისე ეგონა თქვენ — ოცი წლის ხელი მოჭიდა მემარჯვენეობით [illegible] ბალადების თარგმანები გამოაქვეყნა. უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრებისთანავე დაიბეჭდნენ იგი უცხო ენათა კათედრის გამგედ ჯერ ცხინვალის, შემდეგ კი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს ვახტანგ ჭელიძე მეშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა აზერბაიჯანის“ მთავარ რედაქტორად, ჟურნალ „დროშის“ რედაქტორის მოადგილედ, ჟურნალების „ნაპერწკლისა“ და „ცისკრის“ მთავარ რედაქტორად, კინო-სტუდია ქართული ფილმის მთავარ რედაქტორად, კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა საშმართველოს უფროსად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორად.

„ცისკრის“ მეშაობის ე. ჭელიძისეულ პერიოდს ეკუთვნის ქართულ მწერლობაში ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების მთელი თაობის მოსვლა და ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრება.

ამავამად ვახტანგ ჭელიძე რედაქტორობს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“. მწერალთა ამ ორგანომ, ბოლო წლებში, მეტი პუბლიცისტური სიმძაფრე, რომ შეიძინა და ცხოვრებასთან კავშირი განამტკიცა, სამოქმედო არე რომ გაფართოვა და კრიტიკული პათოსი გააძლიერა, თანამედროვეობასთან კავშირის გაღრმავებას რომ ცდილობს, — ესეც მისი მოუღლელი რედაქტორის მაძიებელი ბუნების მაჩვენებელია.

ეუფურეთ ძვირფას ოფიცარს, ქართული კულტურის ამაგდარსა და გამოჩენილ მოღვაწეს ახალი წარმატებები, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები.

გრიგოლ აბაშიძე,
ნოდარ დუმბაძე.
გიორგი ციციშვილი.

სადაც დაიფერფლა უკვდავი მოთხრობა



იყო ქვეყნად ადამიანი

ბახსოვთ გორკის მოთხრობა „ადამიანის დაბადება?“ „ეს იყო 92-ე, დამშეულ წელს, სოხუმსა და ოჩამჩირეს შორის, მდინარე კოდორის მახლობლად, ზღვის მახლობლად...“

1892 წლის ზაფხულში ა. პეშკოვი რუსეთიდან ჩამოსულ მშიერ ხალხთან ერთად მუშაობდა სოხუმ-ნოვოროსიისკის გზატკეცილის მშენებლობაზე. სწორედ მაშინ უნებლიედ გახდა მეანი — ამშობიარა ორიოლელი ყმა ქალი, რომელიც შორეულ მიწაწყალზე სამუშაოსა და პურის საძებნელად ჩამოსულიყო. ახლა კი სწორედ იმ ადგილას, სოფელ ანაუბეაში, აღმართულია მ. გორკის სახელობის საავადმყოფო. გეორგტოლოგის გრიგოლ სიჭინავას ხშირი სტუმარია ადგილობრივი კოლმეურნეობის უხუცესი სამსონ კაცია.

ს. კაცია ანაუბეაში ერთ-ერთი პირველი შევიდა კოლმეურნეობაში.

1948 წლის თებერვალში ხიმინდის რეკორდული მოსავლისათვის სამსონ ნანაშის-ძე კაციას სოციალისტური შრომის გმირის სამპატიო წოდება მიენიჭა. მესამე წელია ს. კაცია საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია. 94 წლის სამსონ კაციას ურთიერთობა არ გაუწყვეტია შობლიურ კოლმეურნეობასთან.

**ს. კაციას ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, 16 შვილიშვილი ჰყავს. აქედან ხ

მი მოსკოვში სწავლობს.**

კოლკაშირელებთან, პიონერებთან, თანასოფლელებთან შეხვედრისას სამსონ კაციას იგონებს წარსულს, იმოწმებს მ. გორკის მიერ მის სამშობლო სოფელზე დაწერილ მოთხრობას. მსმენელებს იგი ყოველთვის შეახსენებს ხოლმე მწერლის სიტყვებს ამ მოთხრობიდან: „ქვეყნად ადამიანი, რომ იყო, ეს ჩინებული თანამდებობაა“.

ა. ვიგნანსკი.

სურათებზე: ს. კაცია; ოჯახმა დღეგრძელს 94 წელი მიულოცა; ეს ფოტო გადაღებულია სოხუმის აეროპორტში — ს. კაცია მოსკოვიდან დაბრუნდა, იგი შვილიშვილებთან იყო სტუმრად.

ი. პოდონელიძისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).





სანგრებში

სამკუთხა გარეთმები მოგვითხრობენ



□

ხულ უფრო გვშორდება გმირული და მრისხანე, დიდი სამამულო ომის ექო. უკვე დიდხანია დავაქაცდნენ ახალი თაობები, რომლებსაც არ განუცდიათ ომის საშინელება.

მაღლერმა სამშობლომ იცის, რომ საბჭოთა ქვეყნის მებრძოლები მკერდით იცავდნენ მამულს, მთელი ძალების დაძაბვით, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ ყოველი მტაცველი საბჭოთა მიწისათვის.

ისინი შეუდრეკელი იყვნენ ფაშისტი დამპყრობლების წინაშე, ამავე დროს განუზომლად ყურადღებიანი და ალერსიანი თავიანთი ოჯახებისადმი, ახლობლებისა და მეგობრებისადმი.

როდესაც მებრძოლის ყურადღებიანობაზე ელაპარაკობთ, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათები, რომლებსაც დღითა სუნი დღესაც კი ეუდით.

აი ვათვალიერებთ ფრონტელი მეომრის ვარლამ ესტატეს-ძე ფაჩულიას მიერ თავისი მეუღლისათვის გამოგზავნილ ბარათებს, რომლებშიც დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი ოჯახის ყველა წევრისადმი. განსაკუთრებით კი პატარა ქალიშვილისადმი, რომელიც მაშინ 3-4 წლისა თუ იქნებოდა.

„სალამი, ბაბულია! გისურვებ ჯანმრთელობას და წინსვლას მთელი ოჯახის შემადგენლობით... დამიკოცნე ნუნუჩი, უთხარი რომ მამა სათამაშოებს ჩამოგიტანს, როდესაც გამარჯვებული დაბრუნდება. მე კარგად ვარ. გეჭიროდეს, რომ ვიქნები სულ მუდამ კარგად — პირსისხლიანი ფაშისტების გასანადგურებლად. ჩემი დარდი ნუ გექნებთან, მე სირცხვილს არ გაკეთებ, ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, სანამ არ გავანადგურებთ პირსისხლიან ფაშიზმის ნაძირალებს...“ წერილის ბოლოს იგი კვლავ სთხოვს მეუღლეს: „დამიკოცნე ნუნუ მრავალჯერ“... ეს წერილი, მოქმედი არმიიდან 1942 წლის 16 აპრილს არის გამოგზავნილი.

1942 წლის 26 აპრილს ვარლამ ფაჩულია მეუღლეს სწერს: „მე თავიდან ასე ძაღს გადაწყვეტილი, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ვასახელო ყველა ჩემიანი, ხომ ბახსოვს ლიდა შოთა რუსთაველის ნათქვამი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. არაფერს არ დავზოგავ, სიცოცხლესაც კი, ოღონდ ძირფესვიანად განადგურდებოდეს ფაშიზმი“.

1942 წლის 5 ივნისს გამოგზავნილ. ღია ბარათში იგი იწერება: „სხვა, მე თუ მკითხავთ, ახლა კარგად ვარ, ალბათ მალე ისევ წავალ პირსისხლიანი ურდოების მოსასპობად“.

ეს წერილი საველე ჰოსპიტალიდან არის გამოგზავნილი. ერთერთ ბრძოლაში უფროს ლეიტენანტ ვარლამ ფაჩულიას ასეულის მეავტომატჩეტები შეტევაზე გადავიდნენ უსახელო მაღლობის ასაღებად. ეს სწორედ ის მაღლობი იყო, სადაც მტრის მეტყველფრენებები იყვნენ გამაგრებული და ჩვენს ნაწილებს ორმხრივ ცეცხლით გზას უღობავდნენ. ფაშისტიას მებრძოლებმა მტერს ფლანგიდან შემოუარეს და უეცარი დარტყმით მოსპეს მისი საცეცხლე წერტილი, დაეუფლნენ სტრატეგიულ მაღლობებს. ამ ბრძოლაში დაიჭრა ვარლამი, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. შემდეგ პოლკის კომისრის დაკონებული მოთხოვნით საველე ჰოსპიტალში გაგზავნეს, სადაც მალე განიკურნა და კვლავ მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

აი 1942 წლის 15 დეკემბერს დაწერილი წერილი. იგი იტყობინება: „ჯერ კიდევ მხნედ ვარ, ფაშისტების თავზარდასაცემად, ვიბრძვი ფაშისტი ძაღლების წინაღმდეგ და ჯერ სირცხვილი არ მიქამია, გჯეროდეთ, რომ ასე იქნება მუდამ“.

სამკუთხა ბარათში, რომელიც 1943 წლის 15 იანვრით არის დათარიღებული, მებრძოლი მეთაური ამხნევებს თავის მეუღლეს და სინანულს გამოთქვამს: „ჩემს ნუნუჩას ხომ არ დავავიწყდით. აკოცე ჩემს მაგვრად მრავალჯერ. წავიკითხე ნუნუს დაწერილი ლექსი, რამაც ძალიან გამახარა. სულელივით სიცილი დავიწყე, არ მჯეროდა, ასეთ ლექსს ნუნუ თუ დაწერდა... არ არის შორს ის დღე, რომ ნუნუს ლექსი გამართლდება, მე ჯერ უნდა ვებრძოლო, გავანადგურო პირსისხლიანი ფაშისტები, და შემდეგ შშვიდობიანად დავბრუნდები. ჩვენი ვალია შენრი ვიძიოთ ფაშიზმზე“.

ამავე ბარათში იგი სხვებთან ერთად მოკითხვას უთვლის „უცნობ დოდოჩის“. ეს მისი უცროსი ქალიშვილია, რომელის ნახვაც არ დასცალდა სამშობლოს დამცველ მებრძოლს. მისმა ქალიშვილებმა ნუნუმ და დოდომ ოქრის მედალზე დაამთავრეს საშუალო სკოლა, შემდეგ ასევე წარჩინებით უმაღლესი სასწავლებელი და ახლა სასახელო შრომას ეწევიან.

აქვე ამ წერილების გვერდით ოჯახი სათუთად ინახავს სამამულო ომში გმირულად დაღუპული მებრძოლი მეთაურის ვარლამ ფაჩულიას დიპლომს. აი რას ვკითხულობთ მასში:

„ამის წარმდგენი ფაჩულია ვარლამ ესტატეს-ძე 1933 წელს შევიდა და 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სრული კურსი“... შემდეგ კი ფრიადების ვრცელი სია.

მართალია, ამ დიპლომით ვარლამ ფაჩულიას შშვიდობიან შრომაში ორ წელიწადსაც კი არ იმოღვაწია, მაგრამ სწავლაში ნაჩვევი სიბეჯითე ომის მძიმე გზებზეც ნთლად იჭრნობოდა, მის მიერ გამოგზავნილი ბარათებიც მეტყველებენ ამის.

თ. ჯაფელი.

ომ ჟურნალისტებს ღლეთ ომოკეთოვეთ

ისე, როგორც ორჯერ ორი

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

არა, მიხო პაპა ნამდვილად გაოგნებული იყო. ვერ გიგო, რა დაემართა შვილიშვილს — ბეუტიკოს. აი უკვე თითქმის სამი საათია ვერაფერი გააგებინა ასეთ ჭკვიან ბიჭუნას. რამდენი იქნება ორჯერ ორი.

— ხუთი, — ამბობდა ბეუტიკო, — არა, შვიდი... არა, სამი... — ლამის გაგიუებამდე მიჰყავდა პაპა.

— უკანასკნელად გეკითხები: რამდენი იქნება ორჯერ ორი?

ბეუტიკო მიხვდა, რომ ეკზეკუციის საფრთხე შეექმნა. სახეზე ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს დაძაბულ ფიქრებს მისცა თავი. მტკიცედ და კატეგორიულად განაცხადა:

— რვა!

— უბედური შენი მშობლები. სულ ოროსანი იქნები, — დაავა დიაგნოზი მიხომ და მძიმედ ამოიოხრა.

— რას ჩაციოდი ბიჭს? — გამოეკმაცა თებრო ბებია — ამ ცოტა ხნის წინათ მითხრეს, დიპლომიანი ინჟინერი ძიებიც კი, თუმცა, ინომეტიკაში მოიკოჭლებენ, თავს და ბოლოს ვერ უგებენ. აი ჩვენს ღალიძგამესს, ხომ იცი, ჩვიდმეტ წელიწადს რომ აშენებდნენ და მილიონები გაანიავეს? ახლა კი, ამბობენ, უნდა დავანგრიოთო, ანგარიში შეგვშალაო...

თებროს ასეთი აშკარად არაპედაგოგიური ჩარევის შემდეგ ბეუტიკოს სახე გაუნათდა, მიხო პაპამ კი შეცბუნებულმა ამოიბზუილა. შეცბუნებიდოდა, ამა რა: ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მეყალიბებდა რომ მეშაობდა და ახ, თურმე, ფუჭად უშრომია...

ეს იყო 1960 წელს. საქართველოს შახტების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დამპროექტებლებმა განაზრახეს, ჭვეშის გასაკვირად, შეექმნათ ღლემდე გაუგონარი კოხტარუქციის შახტი-მიდროელექტროსადგური, ხოლო შახტმშენებლებმა მტკიცე ბრობა დაღეს, რომ უკვე 1964 წელს, როგორც ორჯერ ორი ოთხია, აანთებდნენ მიდროელექტროსადგურის ნათურებს, ვადა მოახლოვდა...

— არა, 1968 წელს, — არცთუ ისე მტკიცედ თქვეს ბეუტიკომშენებლებმა... არა, 1969 წელს... არა, 1970 წელს...

ამასობაში მიდროელექტროსადგურის ჭიურის გაყვანისას დაადგინეს, რომ გეოლოგიურ-სადაზვერვო მონაცემები გრუნტის წყლების მოდინების შესახებ, ტუვარჩელის გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიის მუშაკებმა რომ გაიანგარიშეს, მცდარი ყოფილა. სინამდვილეში წყალი საათში 0,7 კუბური მეტრის რაოდენობით კი არ მოედინებოდა, როგორც ბეუტიკო-გეოლოგები ამტკიცებდნენ. არა, ორჯერ კი არა... ასჯერ მეტი.

ჰოდა, აფრინეს ქაღალდები სხვადასხვა ინსტანციაში უბედურების სიგნალით: „ვიძირებით!“ აქეთ მოაშურეს სპეციალისტებმა და განსწავლულმა კაცებმა. ყოველი მათგანი იძლეოდა რეკომენდაციებსა და რჩევა-დარიგებებს მოწლეავებული წყლის შეკავების თაობაზე. მიმდინარეობდა თათბირები... რამდენიმე წლის ხანგრძლივობით. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა წყალმა ჩაარა შახტში და ძვირად ღირებული მოწყობილობა-დანადგარები გაანგარა. ცალკეულ უბნებზე წყალსარინი შტოლნი კი ზოგ ადგილას ჩამოიქცა. ავარიის სალიკვიდაციოდ სასწრაფოდ შეიქმნა სხვადასხვა კომისია და ჭვეკომისია. ბოლოს, საქართველოს შახტების სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებმა — ბეუტიკო-ინჟინერებმა შეიმუშავეს სახურავის საშიში უბნების ანეკრის სამაგრის პროექტი. მშენებლებმა სამუშაოები შეასრულეს.

— არა, არ უნდა გვქონა ეს!

— განაცხადეს, „თბილისჰიდროპროექტის“ ინსტიტუტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა. — ანკერები ამაღლებს შტოლნის ხიმკისის კოეფიციენტს, და იგი წყალს ვერ გაატარებს.

გადიოდა წლები... მოთმინებიდან გამოსულმა ტუვარჩელელმა მეშახტეებმა მშენებლებს მიმართეს:

— როდისღა იქნება ღალიძგაპესის სინათლე?

— 1973 წლის მეორე კვარტალში, — მტკიცედ და კატეგორიულად განაცხადეს მათ.

**და აი სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ საექსპლოატაციოდ სადგურის მიღებისათვის შექმნა სახელმწიფო კომისია ა. კრუპენენის თავმჯდომარეობით. იგი იყო ადგილზე, გულწრფელად გაოცდა: „გაუგებარია, რატომ დაინიშნა სადგურის გაშვების ვადად მეორე კვარტალი?“ და მაშინვე დაასკვნა, რომ მშენებლობა მხოლოდ მეოთხე კვარტალში. დამთავრდება!“ გავიდა ოთხი თვე, და ისევ კომისიამ, იმავე შემადგენლობით, იმავე კაცის თავმჯდომარეობით დაადგინა: ეს ის ტემპი არ არის, რაც საჭიროა! რომ „1973 წლის 1 ოქტომბრისათვის სამუშაოთა ნარჩენი მოცულობა შეადგენს 629 ათას მანეთს, ანუ საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 8,5 პროცენტს“, და რომ „ტურბინებისა და. გენერატორების ხანგრძლივი შენახვის გამო მათი ლილვების ყელები ზოგიერთი ადგილას ძლიერ კოროზირებულია. გაუჩნდა ნიუარები...“ კომისიამ ურჩია „ორი დღის ვადაში“, „ოთხი დღის ვადაში“, „ერთი კვირის ვადაში“, „ერთი თვის ვადაში“ ამან და ამან ესა და ეს გაა

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზი

ნონა გაფრინდაშვილის 6 ქულა

გუშინ ჰავრაკის სასაბლაში დაიწყო პიონერთა სასაბლეების საკავშირო შეჯიბრების ფინალი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. მონაწილეებს გულთბილად მიეგება ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ორგზის სპორტთა კავშირის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი ვ. ი. სევასტიანოვი.

პირველ **ტურში** მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ერთდროულად თამაშობს სეანსში შეჰყავ 7 სვერდლოვსკელ მოსწავლეს, საერთაშორისო ოსტატი სვეშნიკოვი (სვერდლოვსკელთა გუნდის კაპიტანი) — თბილისელ მოსწავლეებს. მსოფლიოს ჩემპიონმა ჩიჩებულად წარმართა სეანსი — 6 პარტია მოიგო და წაგო მხოლოდ ოსტატობის კანდიდატ ჩეკანოვთან. ამასობაში სვეშნიკოვმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით 4:3 მოუგო თბილისელ მოსწავლეებს. სვეშნიკოვი დამარცხეს ოსტატობის კანდიდატებმა აზმაიფარაშვილმა და რუსუდან გეგიძემ. ორი პარტია ყაიმით დასრულდა, სამი მოიგო სეანსი ორმა. ამრიგად, სვერდლოვსკისა და თბილისის გუნდების საერთო შედეგია 9:5 თბილისელთა სასარგებლოდ.

კემეროვოსა და მოსკოვის გუნდების შეხვედრა დასრულდა ყაიმით — 7:7, ლენინგრადელებმა ინგარიშით 8:6 მოუგეს კოლეგებს.

ამრიგად, პირველი ტურის შემდეგ თბილისელებს 9 ქულა აქვთ და ხელთ იგდეს ლიდერობა. 8 ქულით მეორე ადგილზეა ლენინგრადის გუნდი.

ბ. გამრეკელი.

* * *

სურათზე: ერთდროული თამაშის სეანსს ატარებს მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

18 მაისს — თბილისში

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი 7 მაისს გაემგზავრება სალონიკში, სადაც 10 მაისს გაძართავს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატს (ევროპის მეცხრე ჯგუფი) საბერძნეთის გუნდთან. საბჭოთა გუნდში ცალლეგები ძრაკტიკულად არ ითამაშერა და ეთ-ეთ ყვრთნაში, ოთმელიც ბოგოგორსკი გაიხადთა, მოთაყილეოდდეს: ფეკოვეკი — აატაპოვსკი და დეგტიაროვი, მცველები — ტოროკინი, ბაბაკოვი, ბიზნაგაშვილი, ბატეიეკო, ბოგოკოვი, კოუგლოვი, ლეონოვი, ნახეკარძეველი — ბინაევი, კოწკოვი, ტერიაკი, ბაკსიმეხოვი, ყიფაანი, თავდაბასხელელი — ფიოდოროვი, ილოზინი.

შეგახსენეთ სიტუაციას, რომელიც ჯგუფში შეეკმა ბას შედეგს, რაც ყველა გუნდმა ორ-ორი ბატი გაძართა:

	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უნგრეთი	1	1	0	3:2	3
სსრ კავშირი	1	0	1	3:2	2
საბერძნეთი	0	1	1	1:3	1

ჩვენს ფეხბურთელებს ტურნირში ფარატენეიაათვის სალონიკში მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ. ფრეს ან ფეოდეგ უნგრეთის ნაკრებთან გამარჯვებია ბეთხვევაში (მატჩი ნავარაუდევია გაიმართოს 18 მაისს არა მოსკოვში, არამედ თბილისში იმის გამო, რომ ლუჟნიკის მოედანი ცუდ მდგომარეობაშია და მიმდიხაოეობს სტადიონის ტრიბუნების ოემონტი) უკეკლაფეო გადაეყოდეს ბუდაპეშტი (25 მაისს) უნგოეთსა და საბერძნეთის გუნდეეის შემეეედრა დროს. იქ კი ფაანბმლესი ბეეკდებინ რაც შეიძლეა ბეტი ბეეთი გაიტანონ მეტოქეთა კარში: თანაბაოი ჭეულებია დროს ეპირატესობა ეხიქება გატანილი და გაშვებული ბეთრეების უპეკეს ბეფაოდეეას.

ეკონომია მეცხრე ჯგუფის გამოჯეებეული, როგორც ცნობილია, ოგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებიათვის უმეალო ბრძოლაში ორ მატჩში შეხვდება სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ გუნდს. გასასზღვრა სამხრეთ ამერიკის სამი ნაკრების — ბრაზილიის, პერუსა და ბოლივიის ტურნირის ვადები. ეს ტურნირი გაიმართება 24-31 ივლისს კოლუმბიის ქალაქ კალში. 24 ივლისს ერთმანეთს ხვდებიან ბრაზილიისა და პერუს გუნდები, 27 ივლისს— ბრაზილიისა და ბოლივიის, 31 ივლისს — პერუსა და ბოლივიის ფეხბურთელები. ტურნირის ორი საუკეთესო გუნდი 1978 წელს არგენტინაში გაეგზავნება, მესამე ნაკრები კი ევროპის წარმომადგენელთან ცდის ძალებს.

(საკდესი).

მატჩი ქუთაისში

გუშინ ქუთაისში გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის მოოიგი მატჩი. ადგილობრივმა „ტორპედომ“ უძასპინძლა მოსკოვის „სპარტაკს“. მატჩია 34-ე წუთზე სპარტაკელმა კოკორევმა გაიტანა ბურთი, ოომელიაც გამარჯვეა მოუტანა სტუმრებს. თამაშს სჯიდა რიგელი არბიტრი მ. რუბინისი.

ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მ. კვირნაძე, შელია, მელიქია, სარიმელი (შვეკოვი), ფარულავა, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ქვირია, ფესტვენიძე, გაბინეაძე, ბურკაძე (ა. კვირნაძე).

მორიგ შეხვედრას ქუთაისელები გამართავენ 11 მაისს ლენინგრადში „დინამოსთან“.

სურათზე: ქვემხუბუკი წონის მოკრივეების — თბილისელი ოსტატობის კანდიდატების, დინამოელი კ. დავითიანისა (მარცხნივ) და სპარტაკელი ნ. ქვაჭრელიშვილის ორთაბრძოლა. გაიმარჯვა ნ. ქვაჭრელიშვილმა.

ბ. კეკელიძის ფოტო.

სასახლის რინგზე

დიდებული იყო საკავშირო ტურნირის გახსნის ცერემონიალი გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში.

...ეკრანზე დიდი სამამულო ომის დოკუმენტური კადრები აელვდა ელვ ნ ნ:

ავგი სახელგანთქმული მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი, აი არმიის საოდალი კონსტანტინე ლესელიძეც, დარბაზში მქუბარე ტაში გაისმის. პროეექტორების სხივებმა კ. ლესელიძის ბიუტი გაანათეს, საპატიო ყარაული იცავს მას.

გაისმის ფანფარების ხმა. იწყება მარშ-პარადი. წარჩინებული კუსანტი, პირველთანრიგოსანი მოკრივე დავით ლაცაბიძე მეჯიბრების დროშას აღმართავს...

...გუშინ დილით გაიმართა ორთაბრძოლები სამ წონით კატეგორიაში, ოდესელმა სპორტის ოსტატმა ვ. პოვორინმა (ქვემსუბუქი) დაამარცხა სოხუმელი რ. ჩირიგბაია, თბილისელებმა ვ. გოგუაძემ და ვ. შურადინმა სძლიეს ბაიუმელ ი. ხაჩატურიანს, და ტაშკენტელ ს. კალიკოვს, ვოლგოგრადელმა ე. პავლოვმა (პირველი ქვესაშუალო) — კი